ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1860407

ნომერი: AR1304390

თარიღი : 24.04.2015

გაცემის თარიღი : 29.04.2015

გაცნობის თარიღი : 01.05.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხევძმარის და ხიზაბავრის ქუჩების გადაკვეთასთან;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოგი ბოლქვაძე პ/ნ 01008052078
- თბილისი, თ. ნადარეიშვილის ქ. #5, ბ#9

ორგანიზაცია:

- შპს ,,გოუგაზი" კოდი: 200190603

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
  - გაზგასამართი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ხევძმარის და ხიზაბავრის ქუჩების გადაკვეთასთან არსებულ მიწის ნაკვეთზე (01.11.12.018.020) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას, გაცნობებთ, რომ სამსახურისთვის გაურკვეველია თქვენი მოთხოვნა, ვინაიდან, მოთხოვნის ტექსტში როგორც აფიქსირებთ, გსურთ არსებული გაზგასამართი სადგურის რეკონსტრუქცია. კერძოდ, კი არსებულ საოპერატორო (ოფისი) შენობაზე დაშენება. გთხოვთ, დახარვეზებული მოთხოვნის ტექსტში დააკონკრეტოთ მოთხოვნა, გაზგასამართი სადგურის რეკონსტრუქციაში რა იგულისხმება, რადგან როგორც დგინდება საოფისე შენობა ცალკე მდგომია. იმ შემთხვევაში, თუ რეკონსტრუქცია ითვალისწინებს მხოლოდ საოფისე შენობაზე დაშენებას, შენობის რეკონსტრუქცია–დაშენება არ საჭიროებს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას და მოთხოვნა დაყენებულ უნდა იქნას პირდაპირ არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებისთვის განკუთვნილი ვადა განისაზღვრება 12 სამუშაო დღით. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნის დასაზუსტებლად. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება დაზუსტებული მოთხოვნა, საკითხი დარჩეს განუხილველი.

ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.